წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 15 ივლისი

# სამშობლო

№ 405

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

ინგლისელთა ჯარი მოსკოვში

ბუნებრივი, სკობელევის კომიტეტისა.

ოქროს ოცნების სიზმარი

ფლორენტიული ლეგენდა 4 ნაწილად მხატვრულად დადგმული გომონის ფაბრიკისა, ქ-ნ სუსანა დელვეს და ბ-ნ ტალვეს მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული.

გადაცმულის თავგადასავალი.

სახუმარო.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

**გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

ნევის პროსპექტი

დრამა ოთხ ნაწილად ნ. ვ. გოგოლის მოთხრობის მიხედვით.

მზარეული ქალის შურისძიება.

სახუმარო.

## განცხადება.

სადგურ რიონზე **დავკარგე** რედიკიული, რომელშიაც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სხვადასხვა ქაღალდები და ათი მანეთი ფულად. მპოვნელს ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, ძლიერ საჭიროა. ყოველ შემთხვევაში კიდევ საჩუქარს მიიღებს 10 მანეთს. ივლიტა სიმონის ასული ტროიან-ნეზაბუტოვსკაია.

ადრესი: რედაქცია „სამშობლო".

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული საღორიის აგარაკზე **სავენახე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში**, ჭუჭ. ქუჩა.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათმდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**დ. ლაილაში.**

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**სურამი.**

გამოცდილი მასწავლებელი

**ამზადებს მოწაფეებს.**

მისამართი: იტრია, სახლი ღურსმანიშვილისა.

245 3—3

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„სამშობლოს"** რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თეღაია. თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 11 ივლისი. გუშინ საღამოს 3 საათზე ბურკანულის დასავლეთით მტრის მოწინავე ხაზზე, როგორც საფიქრებელია, დაიღუპნენ შტაბს კაპიტანი ბერიძე და პორუჩიკი რტიშჩევი. ბრიაზა-ფუნდულ-მოლდავას მიდამოებში და კიმპოლუნგის დასავლეთით სამ როტამდე მტრის ჯარია ჩვენ ცხენოსან ჯარს რომელთაც სამთო ზარბაზნები იგერიებდენ. ერთ-ერთმა ზარბაზნის—ლიჩკინს დამმიზნებელს ყუმბარამ ხელი მოსწყვიტა; მიუხედავათ ამისა, ის ზარბაზანთან დარჩა, ვიდრე უკანასკნელი საბოლოოთ არ იქნა გაფუჭებული. მტერი უკუ ვაქციეთ. 10 ივლისს ტომნატიკის მთის დასავლეთით 49 ყაზახი თავს დაეცა მტერს (კიმპოლუნგიდან 50 ვერსის სიშორეზე ჩრდილო დასავლეთით) დაატყვევეს 4 აფიცერი და 57 ჯარის კაცი.

**კავკასიის ასპარეზი.**

ჩვენი მამაცი ჯარი ერთგულად აწვება ოსმალთა ჯარს, რომელიც უწესრიგოთ უკან იხევს. ჩვენი ჯარის ზოგი ნაწილი 15 ვერსით დაუახლოვდა სომხის შუაგულს—ერზინჯანს, რომელშიაც, მვფინავთა სიტყვით ოსმალები გაჩქარებით ანადგურებენ ყოველივე მასალის საწყობებს.

**პეტროგრადი.** 12 ივლისი. სოფ. მცირე გვოზდეცის დასავლეთ განაპირაში ჩვენ ორ პოლკს გერმანელებმა ახლოდან თოფისა და ზარბაზნის სროლა აუტეხეს.

პოლკის უფროსმა პოლკ. სემიონოვმა უბრძანა კვლავ ედევნათ მტერი. პირველი ბატალიონის პორუჩიკი გუსაკი გასცილდა სოფელს, გორაკიდან დაინახა მტრის ბატარეია ერთ ბაღში ხოლმიდან სოფ. ტურკაში მიმავალ შარა-გზაზე პორუჩიკმა გუსაკმა მაშინვე თავის შვილის პრაპორჩიკ გუსაკის მეთაურობით ერთი როტა ჯარის კაცი შარა-გზის მარჯვნივ გაგზავნა, რათა გზაა გადაეჭრა მტრის ბატარეიასთვის და არ გაეშო სოფ. ტურკისაკენ. მტრის ბატარეიასკენ თავის ცხენები გამოემართა, ბატარეია უკანასკნელ ყუმბარებს სცლიდა, დამცველი როტა უწესრიგოთ ისროდა. თვით შეშინებული არტილერისტეში რევოლვერებსა და თოფებს ისროდენ. პრაპორშჩიკმა გუსაკმა თავის სიმამაცით გაიყოლა თან როტა, რომელმაც მიაღწია სოფ. ტურკას და ბატარეიას გზა მოუჭრა. ზარბაზნებში უკვე შებმული იყვნენ. პრაპორშჩიკმა გუსაკმა იერიში მიიტანა ბატარეიაზე და ხიშტებით დაერივნენ. დამცველი როტა მცირე ბრძოლის შემდეგ დაგვნებდა. ბატარეიაც დაგვნებდა პრაპორშჩიკ გუსაკის მოქმედების წყალობით ხელთ ვიგდეთ ოთხი 15 სანტიმეტრიანი ზარბაზანი აფიცრებით, მსახურებით, ცხენებით და ტანისამოსით. დამცველი როტა 150 კაცია. დანაკლისი პატარაა. მდ. სლონიოვკის (სტირის ტოტია) ბრძოლის პირზე ჩვენი ჯარის წინსვლა შეუწყვეტლად მტრის სროლის ქვეშ გრძელდება. დღეს ჩვენ 10000 კაცი დავატყვევეთ, 4 ზარბაზანი და 5 ტყვიის მფრქვეველი, რომელიც მტრის წინააღმდეგ ავამოქმედეთ

**კავკასიის ასპარეზი.**

ერზინჯანისკენ წინსვლა გრძელდება. ჩვენ ვსდევნით ოსმალთ, რომელნიც გაჩქარებით უკან იხევენ, გზა და გზა ზარბაზნებს, თოფს და სხვა სამხედრო მასალას სტოვებენ.

**შენიშვნა.** 12 ივლისს ბრძოლაში სასამზღვრო ზაამურის ქვეითა ჯარის პოლკმა შედარებით მცირე იერიშით სოფ. გვოზდენის მიდამოებში თხრილებიდან მტერი განდევნა. მტრის დევნა გრძელდება.

**ლონდონი.** 12 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. სოფ. აზურთან წინსვლა გრძელდება. ავსტრიელებმა დაატყვევეს 6 აფიცერი და 145 ჯარისკაცი. დანარჩენ ასპარეზზე აღსანიშნავია საკმაო ცხოველი მოქმედება არტილერიისა. ანკრსა და ზღვას შუა საყურადღებო არა მომხდარა რა.

**პარიზი.** 12 ივლისი. პირველ საათის ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის სამხრეთით საღამოზე ფრანგებმა ძლიერ გამაგრებულ სახლების ჯგუფი აიღეს ესტრეს სამხრეთით. პატარა იერიშით ფრანგებმა გერმანელთა რამდენიმე თხრილი დაიპყრეს. უაზასა და ენის შუა ფრანგებმა თოფის სროლით რამდენიმე მზვერავთა რაზმი გაჰფანტეს ტრასილევალის მიდამოებში. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა ხელის ყუმბარებით იერიში მიიტანეს 304-ს სიმაღლეზე, მაგრამ ფრანგებმა ტყვიის მფრქვეველებით მოიგერიეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები მკაცრად უშენდნენ ფლერისა და ლოფეს შუა მდებარე მიდამოებს. ელზასში, ალტკირხის ჩრდილო დასავლეთით, საარტილერიო მომზადების შემდეგ ბალშაილერზე იერიში მიიტანეს. ასტყდა ძლიერი ბრძოლა, რომლის დროსაც გერმანელებმა ზოგ თხრილებში შეჭრა მოახერხეს, მაგრამ ფრანგებმა მალე განდევნეს. მფრინავთა მოქმედება. 9 ივლისს პოდპორუჩიკმა ნეჟესომ მეცხრე ჰაეროპლანი ჩამოაგდო მტრისა. 12 ივლისს ფრანგთა საჰაერო ესკადრამ ყუმბარები დაუშინა რკინიგზის სადგურებს ნერჟენს, ლენგიენს და აგრეთვე მანჟიენთან დაგებულ გერმანელთა კარავებს

**პეტროგრადი.** 13 ივლისი. დასავლეთის და კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია. შავ ზღვაზე ჩვენი გემების რაზმი წააწყდა „ბრესლაუს", რომელიც ნოვოროსიისკენ მოდიოდა, და დაღამებამდე სდევნეს.

**პეტროგრადი.** 13 ივლისი. უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელმწიფე იმპერატორმა 12 ივლისს შემდეგი დეპეშა გაგზავნა: „მთავარსარდალს" თბილისი. სიხარულით მოვისმინე ერზინჯანის აღების ამბავი. გულითადათ გილოცავ გამარჯვებას შენ და კავკასიის ლაშქარს. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ჩემი მისდამი ნდობა ესრედ მალე შეასრულა.

**ნიკოლოზ.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

კეემერონის დასავლეთით ორ ხელ საარტილერიო მომზადების შემდეგ წინ წამოვიდენ გერმანელები და ის იყო უკან დასწიეს ჩვენი მოწინავე ჯარი, შეთანხმებულ ცეცხლით ჩვენ ვაიძულეთ უკან დაეხიათ. მტერმა მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვა ბრძოლის ველზე.

იმ ბრძოლის დროს გერმანელები მსკდომარე ტყვიებს ზარბაზნებსა და სულის შემხუთველ გაზებს ხმარობდენ. ბარანოვიჩის ჩრდილო აღმოსავლეთით მოწინავე ჯარების შეტაკება მოხდა და ზოგიერთ ალაგას ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია.

**პარიზი.** 13 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მთელ ასპარეზზე თვალსაჩინო არა მომხდარა რა, გარდა ლალოფის მიდამოებისა. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ჰავრი.** 12 ივლისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა მთელ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. ნამეტანი მკაცრი სროლა ბუსინგელის მიდამოებშია.

**ლონდონი.** 12 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან გუშინ ინგლისელთა მარჯვენა ფრთაზე იერიშის მიტანა სცადეს, მაგრამ ვერა გააწყეს რა. უშედეგო იყო აგრეთვე გერმანელთა ქვეითა ჯარის ორი იერიში. პოზიერის ჩრდილოეთით, მიუხედავათ გერმანელთა მკაცრი წინააღმდეგობისა, ინგლისელებმა კიდევ წაიწიეს წინ.

**ათინა.** 13 ივლისი. პარლამენტის არჩევნების დანიშნული 25 აგვისტოსთვის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ფლანდრიიდან რუსეთის ასპარეზზე მრავალი ჯარი გადმოუყვანიათ.

—

კოპენჰაგენის წყაროებით სამი კვირის განმავლობაში მდ. სომმის ბრძოლის პირზე 10 მილიონი მძიმე ზარბაზნის ტყვია დახარჯულა.

—

ათინიდან იტყობინებიან ალბანეთში ძლიერი ამბოხება ყოფილა ბულგარლების წინააღმდეგ.

—

გერმანიის საიმპერიო კანცლერს ბეტმან ჰოლვეგს საიდუმლო კრებაზე განუცხადებია პარტიების ლიდერებისათვის, მართალია ყოველი მხრივ ვიცავთ ჩვენს მოკავშირეებს, მაგრამ ჩვენი სამშობლო ჩვენთვის უფრო ძვირია და ხშირად ჩვენი მოკავშირეების ინტერესებს გერმანიის ინტერესებს მსხვერპლათ ვწირავთო.

—

„ტაიმსი"-ს კორესპონდენტი იტყობინება დასავლეთის ასპარეზით, ვისაც წინად უნახავს მდ. სომმის თვალ-წარმტაცი მიდამოები, ის ეხლა ველარ იცნობს მასას. მთელი არე მარე გზებითა და სანგრებით დაქსელილი, მხოლოდ სხვადა სხვა საველე სიმაგრეთა და ყუმბარების ორმოებით დაცხავებული.

—

ბულგარიაში სულ რამდენიმე გერმანელი და ბულგარელი აფიცერი დარჩენილა. დანარჩენი ჯარი გერმანელ-ავსტრიელების სხვადა სხვა ასპარეზებზე გადაუყვანიათ, ისე, რომ ეხლა ბულგარლები ღვთის ამარად ყოფილან დატოვებული.

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ რუსეთს 30 ვაგონი სამხედრო მასალა გაუგზავნია რუმინეთში. ამის გამო გერმანული გაზეთები სწერენ დაუჯერებელია, რომ რუმინია ეხლა ჩაერიოს ომში, როდესაც მისი შემოსვლის ერთად ერთი წყარო-პური ჯერ მოუკრები აქვთო. შემდეგში კი რუმინია უეჭველად ჩაერევა ომში, იმის მხარეზე, რომლის მდგომარეობაც ხელსაყრელი იქნებაო.

—

პარიზის გაზეთები აღნიშნავენ ერთ გარემოებას: ეხლა უმაღლესი სარდლის ბრძანება მსწრაფლ სრულდება და ამ მხრით ეხლა საუკეთესოდ არის დაყენებული საქმეო.

სირიაში გერმანელთა აფიცრების მეთაურობით რავა ახალი საარმიო დივიზია შეუდგენიათ და ევროპის ასპარეზზე უნდა გაგზავნონ.

—

უნგრეთის ოპოზიციონურ წრეების ლიდერ გარაფ დროშის ან განუცხადებია ერთ კორესპონდეტისათვის რუსებს სწადია თავის მიზნისა მიღწევა და ჰამსბურგთა მონარქიის განადგურება მაგრამ უნგრელებმა მოთმინება უნდა იქონიონ და გულ მშვიდებულნი უკეთეს მომავალს უნდა ელოდენ.

—

კრაკოვის კამენდანტს განუცხადებია, როგორც კი კრაკოვის ციხე საფრთხეში ჩავარდება, შიგ არავის შეუშვებთო

—

რადგანაც იტალიასა და გერმანიის შორის მდგომარეობა გამწვავდა იტალიის პირველმა მინისტერმა სამინისტროს არა ჩვეულებრივი სხთომა დანიშნა, რომელზედაც წაკითხული იქნება მეფის სურვილი.

—

# ომის დღიური.

**ალოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სლონიოვკის და სტირის შესართავთან რუსები სტირზე გადასვლას განაგრძობენ. რუსებმა დაატყვევეს 10000 კაცი, დავლათ დარჩენიათ 4 ზარბაზანი და 5 ტყვიისმფრქვეველი. კეემერთან ორი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელები წინ წამოვიდნენ და რუსები უკან დასწიეს, მაგრამ ზარბაზნის სროლით განდევნეს და დიდათ დააზარალეს. გერმანელები გამსკდომ ტყვიებს და სულის შემხუთველ გაზებს ხმარობდენ.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსებმა ქ. ერძინჯანი აიღეს. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

**დასავლეთის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა. მდ. სომმის ასპარეზზე ესტრეს სამხრეთით ფრანგებმა მკვიდრათ გამაგრებული სახლი აიღეს - უაზისა და ენის შუა ფრანგებმა თოფის სროლით გერმანელთა მზვერავი რაზმები გაჰფანტეს. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა „304“ ის სიმაღლეზე ხელის ყუმბარებით იერიში მიიტანეს, მაგრამ ფრანგებმა მოიგერიეს.

## სამხედრო-მიმოხილვა.

**ერძინჯანის აღება.**

დღეს ჩვენ გაზეთში მოყვანილია დეპეშა, რომლითაც ხელმწიფე იმპერატორი ერძინჯანის აღებას ულოცავს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ჯერჯერობით სხვა რაიმე დაწვრილებითი ცნობა არ მოსულა და ამიტომ არა სჩანს რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქის აღება, ვინაიდგან არ ვიცით რამდენად დიდი იყო ზარალი ოსმალებისა, და რამდენად დიდია ტყვეთა რიცხვი ან დავლის რაოდენობა ჯერ არც ის ვიცით თავის ნებით დასტოვეს ქალაქი ოსმალებმა, თუ ბძოლით გამოაცალეს ხელიდან რუსებმა. ყველა ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის აღების მნიშვნელობის და საფასებლად.

როცა გამოაშკარავდება ერძინჯანის აღების პირობები, მაშინ შეიძლება სავსებით დაფასება ფაქტისა

მაგრამ ამ ქალაქის აღებას აქვს, აგრე ვსთქვათ, საერთო ზოგადი მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა ამ ფაქტს მოყვა ოსმალთა ჯარის განადგურება თუ არა

სტრატეგიულათ ერძინჯანის აღებას დიდი მნიშენელობა აქვს.

კავკასიის ასპარეზზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა უკვე გაყვანილ შარა გზებს. აქ ძველი გზების გამოყენება, თუ შეიძლება, თორემ ახლის გაყვანა ძალიან ძნელია, ამაში ძლიერ უშლის ხელს ადგილის უსწორ მასწორობა. მით უმეტეს დიდია მნიშვნელობა იმ პუნქტებისა სადაც იყრიან თავს გზები. მთაგორიან ადგილებში ბევრი არ მოიძებნება ასეთი პუნქტი. ერძინჯანი ერთი იმ ადგილთაგანია, საიდანაც სხვადასხვა მხრისკენ მიდის გზები

ერძინჯანის დაკარგვით ხარპუთის რაიონი სამუდამოთ სწყდება ზღვას და ზღვით მიტანილ სურსათ-იარაღის მიღება აღარ შეეძლება, რადგანაც ერთად ერთი გზა შავი ზღვიდან ერძინჯანზე მიდიოდა.

ეს გარემოება კი გაართულებს ხარპუთის ბრძოლის პირის მდგომარეობას და იქნებ სულ ცოტა ხანში ოსმალებმა ხარპუთიც დაკარგონ.

შვრელი.

## ჩვენ შორის,

### VIII.

რაც უფრო და უფრო ვუკვირდები ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს შინაურ საქმეებს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენში არ არსებობს ის მომწესრიგებელი ძალა, რომელსაც შეეძლოს ქართველთა ნაფიქრნააზრევის ერთად თავმოყრა, ერთად შეკრება, ერთი დასკვნის გაკეთება და ამ დასკვნის მიხედვით ამოძრავება ყველა იმათი, ვინც თავის მიზნად ისახავს ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას, აყვავებას, წარმატებას, ისტორიულ უფლებათა დაცვას!

ჩვენ არა გვაქვს დისციპლინა მუშაობაში, არ გვაქვს პატივისცემა პიროვნებისა, ამ პიროვნების ნამოღვაწევისა, ნაშრომისა; არ გვაქვს გადაჭრილი საზომი, გარკვეული იდეა, განსაზღვრული გეგმა, წინდახედული მოქმედება; არ გვაქვს თვით სიყვარული იმ საგნისა იმ საქმისა, რომელსაც ვითომ ვემსახურებით! დიაღ, არა გვაქვს თვით სიყვარულიც-კი!..

ამას თამამად ვამბობ და ვამბობ უმრავლესობის შესახებ.

ჩვენ,— ეგრედ წოდებული ხელმძღვანელნი ხალხისა (რა მიმართულებისაც უნდა ვიყოთ) წარმოვადგენთ ერთ გვარ უფორმო მასსას, ერთგვარ ჯგუფს, თუ გნებავთ ერთ გვარ კლასს, რომელიც ბოროტად ხმარობს თავის ცოდნასაც, თავის ქონებასაც, თავის გავლენასაც, თავის ინტელიგენტობასაც!..

ჩვენ არ ვაკეთებთ იმის მეასედსაც, რამდენსაც ვყვირით; ჩვენ არ ვიღებთ იმ მსხვერპლის მეათასედსაც, რამდენის გაღებაც შეგვიძლია, გული რომ გულობდეს; ჩვენ არ ვზრუნავთ იმის მეოცდაათასედსაც, რამდენი ზრუნვაც გვაწევს კისრად; ჩვენ უფრო ისე ვიქცევით, როგორც იქცევა ხოლმე დახელოვნებული მოხელე, რომელიც მარტო ქაღალდებზე აწერს ხელს და იმისი ჯავრი არა აქვს, სრულდება თუ არა ეს ქაღალდები!..

გვყანან ჩვენ პირწმინდა სოციალისტები, მაგრამ არა გვყანან რობერტ ოვენები, ფურიები, ჟორესები, ბებელები (შედარებითი მასშტაბისა, რასაკვირველია).

გვყანან ჩვენ ავტონომისტები, მაგრამ არა გვყანან პარნელები (აქაც შედარებით მასშტაბისა, რასაკვირველია).

გვყანან ჩვენ პატრიოტები, მამული შვილები, მაგრამ აღარა გვყანან დიმიტრი ყიფიანები, ილია ჭავჭავაძეები, ვანო მაჩაბლები.

პირიქით, ჩვენ ვამცირებთ ერთმანეთს, ფეხითა ვსთელავთ ძველების ნაშრომს და ამ ნაშრომის გაფართოება—განვითარების ნაცვლად,—ყველა და ყველაფერი სამას ხაროდ გაგვიხდია.

ბევრი ჩვენში სოციალისტობს იმიტომ, რომ თავის კერძო საკუთრებას გაუფრთხილდეს!

ბევრი ავტონომისტობს იმიტომ, რომ უფრო თბილი ადგილი იშოვოს.

ბევრი პატრიოტობს იმიტომ, რომ ამავე დროს ჩინ--მენდლებიც იშოვოს!..

ყველა და ყველაფერი საყველ-პუროდ გაგვიხდია და არა გვაქვს ისეთი მტკიცე ორგანიზაცია, რომ ჩვენმა შეერთებულმა ხმამ თავ-ზარი დასცეს ყოველგვარ თვალთ მაქცობას, მცონარობას, შენ-ჩემობას, ნათლი-მამობას!

არა გვაქვს მტკიცე და შეურყეველი მისწრაფება, მოქმედება, გეგმა ჩვენის აზრებისა და ნალაპარაკევის განსახორციელებლად.

თითქოს ყველას გვწადია რაღაც, თითქოს ყველას გვრცხვენია ჩვენის უმოქმედობისა, თითქო ყველა რაღაც ფაცი ფუცში ვართ, მაგრამ ხვავი კი არა აქვს ამ ჩვენ ფაცი-ფუცს, შესაფერისი ნაყოფიც კი არ მოაქვს ჩვენს ფუს-ფუსს, ჩვენ ყოყლოჩინობას.

მე ასე წარმომიდგენია ჩვენში არსებულ „მიმართულებათა“ ყოფნა — ორგანიზაცია“.

სათავეში ზის რომელიმე ჭაჭი... (დამსახურებული თუ დაუმსახურებელი, ეს ჯგუფის საქმეა) მას მარჯვნივ და მარცხნივ ახლავან თავისიანები: ზოგი მეტის ნდობითა და ზოგიც ნაკლები ნდობით აღჭურვილნი, ამათ ქვევით კიბეზე სდგანან წვრილ-ფეხობა---აღმასრულებელნი უფროსების განკარგულებისა და ყოველთვის მზადქმნილი სადამქაშოდ... ყველა ესენი, ვითომდა ემსახურებიან ერთს აზრს, ერის იდეას — მაგრამ ნამდვილად კი ერთი ან ორი კაცია გატაცებული ამ იდეით, ყველანი ამ ერთსა თუ ორ კაცს აწვებიან კისრად და მათის ხელით გლეჯენ ნარს!

ასეთივე „ორგანიზაცია“ აქვს დანარჩენ ჯგუფებსაც.

ვსთქვათ, ერთმა ჯგუფმა მოინდომა მეორე ჯგუფის წინააღმდეგობა, იწყება საშინელი ორომტრიალი და კბილთა ღრჭენა, „უფროსები“ ულვაშებში იცინიან, უნცროსები ჩოგანს ატრიალებენ, ენას ასარსარებენ, იდეის მქონებელნი სირცხვილით იწურებიან და თვით საქმე, თვით იდეა კი შელანძღული რჩება... გარეშენი ხედვენ ამ ორომტრიალს, ეშმაკურად ხითხითებენ და ცეცხლზე ნავთს ასხმენ, რომ უფრო დიდი ხანძარი დაინთოს და კჭვიანურად ხელი მოითბონ.

ასეთი სურათი იყო წინად ასეთი სურათია დღესაც და სახალხო საქმე კი კუს ნაბიჯით მიდის წინ...

ქართველი ხალხი, ქართველი ერი უპატრონოდ და უხელმძღვანელოდ რჩება, თუმცა კვეხნასა და ბაქიაობას ამა თუ იმ ჯგუფისას საზღვარი არა აქვს: — ხალხი ჩემია, ხალხი მე მიგდებს ყურსაო.

ხმა მაღლა ვიძახით: ხალხი არც კი გვიცნობს ჩვენ და თუ გვიცნობს, გვიცნობს ძალიან პრიმიტიულის მხრივ!..

ჩვენ და ჩვენ იდეას გავლენა რომ ჰქონდეს ხალხზე, განა ისეთი თავდავიწყებული მოზარდნი გვეყოლებოდენ, როგორსაც დღესა ვხდავთ?..

შებრძანდით სკოლებში, გაიარეთ ბულვარებზე, დააკვირდით მოზარდთა სიტყვა-პასუხს, მათ ქცევას, მათ „მისწრაფება იდეალებს“, მათ ჩაცმა — დახურვას, მათ პრანჭვა-გრეხას, მათ გადაგვარებას და მაშინ დაიკვეხეთ — კარგი აღმზრდელები ვართქო.

ჩვენა და ჩვენ იდეას გავლენა რომ ჰქონდეს, განა ასე მცირე გასავალი ექნებოდა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს?...

რა დასამალია, რომ ყველაზე გავრცელებულ გაზეთებსაც კი ძალათ აჩეჩებენ ხოლმე „თავის მკითხველებს“...

თვით წაკითხვასაც დიდი არა მოსდევს რა: ჩარჩი ისევ ჩარჩად რჩება, მატყუარა მატყუარად... ხალხი ჩვენ მწერლებს იმდენად იცნობენ, რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ ლიხუნ-ჩანგს ან რომელიმე ხი-კამე-ჩიოს!..

ჩვენა და ჩვენ [illegible] ჰქონდეს, განა ასე ოჯახში ოთხმოცდაათი მაინც არ დაინტერესდებოდა ჩვენის მწერლობით, ჩვენის ისტორიით, ჩვენის სიტყვიერებით, ჩვენის კულტურით? მაგრამ აბა მიჩვენეთ ასში ათი ოჯახი, სადაც ნამდვილი ქართული სული და გული ტრიალებდეს? სადაც რაიმე იდეით იყვნენ გამსჭვალულნი, სადაც ოდნავ მაინც ესმოდესთ ჩვენი ქვეყნის საჭიროება და მისი გულის ტკივილი!..

რად ხდება ასე? რადა ვართ ასე გაუკულმართებულნი?...

იმიტომ, რომ ჩვენ მაღალ-მაღალ ფრაზებს ვეჭიდებით, მაღალ მოძღვრებას ვეფარებით და იმას კი, რაც ამტკიცებს ამ ფრაზებს, რაც საფუძველს აძლევს ამ მოძღვრებას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ.

სკოლა, ოჯახი, პიროვნება, ადამიანობა, ხალხოსნური მოთხოვნილება, საანბანო სიკეთე და მოვალეობა — ყველა ეს დავიწყებული გვაქვს და „სოციალისტობას“ კი თავს ვაკლავთ!

მომეცით ხუთი და ათი გოგებაშვილი და მე მოგცემთ თქვენ ეროვნულ სკოლას!

მომეცით ხუთი და ათი ილია ჭავჭავაძე და მე დაგიმყარებთ დისციპლინას ქართველის ცხოვრებისას!

მომეცით ხუთი და ათი არჩილ ჯორჯაძე და განვამტკიცებ ახალი საქართველო.

მომეცით ხუთი და ათი ნიკოლაძე და მე ავაყვავებ საქართველოს ეკონომიურად.

მომეცით ხუთი და ათი ანი (უპლეხანოვოდ) და ვნახავთ, რაც არის სოციალიზმი!

მომეცით ერთი მილიონი ქართველი, რომელიც წელიწადში ათ მანეთს გაიღებდეს ქართული საქმისათვის და არც ერთი სოფელი არ გექნებათ უსამკითხველოდ, უსკოლოდ, უგზოდ, უწყალოდ!..

მომეცით!... მაგრამ რა უნდა მომცეთ, როდესაც თქვენი თავის მეტი არა გწამთ რა და თქვენ ჯიუტობის იქით არასა ხედავთ!....

ასე რომ არ იყოს განა მოვკლავდით ილიას, წვრილფეხობის სათრევად გავხდიდით ნიკო ნიკოლაძეს, მასხრად ავიგდებდით დიმიტრი ყიფიანს, დავამცირებდით სამშობლოს, დავივიწყებდით ახალ-თაობას, სკოლას, ოჯახს, მოვალეობას?

აბა წაიკითხეთ დღეს სტუდენტ გუბელაძის წერილი, აბა გადაიკითხეთ ბ-ნ არ. ჯაჯანაშვილის „სტატია“, აბა დაუკვირდით კილოს „მეგობრისას“, კვეხნას „ზვირთისას“ მუქარასა და დაცინვას „თანამედროვე

## სიყვარულის მეცნიერება.

ნოველა დ. მერეჟკოვსკისა.

ბოლონიის უნივერსიტეტში საუკეთესოდ მომზადებული პროფესორთაგანი, მესერ ფაბრიციო, დიალექტიკის ლექციებს კითხულობდა, და ასე დახელოვნებული იყო, რომ „სილოგიზმთა მეფეს“ უწოდებდენ. დიალექტიკის გარდა, მეცნიერებათა სხვა მრავალი დარგიც ჰქონდა შესწავლილი. კვალად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს სწავლული მეცნიერების მთავარ დებულებებშიც ისეთ სიბრძნეს, აზრის ისეთ სიღრმავეს იჩენდა, ვით ცხოვრების ყოველგვარ წვრილმანში. მსმენელთ შორის ერთი ეპიზოდი იყო გავრცელებული მისი ცხოვრებიდან: ერთხელ, ვითომ მისამართი უნდა დაეწერა წერილზე პოდუიას, მეღვინეთა მოედანზე, აფთიაქის პატრონ ლუნის,—-მეცნიერებით გართულმა მესერ ფობრიციომ გულმავიწყობის მეოხებით კი შემდეგი წააწერა: ქალაქ ანტენორას, ბოხუსის ფორუმზე, სამპიროვან ღმერთას არომატარიაში. ისე ვრცელად, ისე ლამაზად და მოხდენილად ლაპარაკობდა ტულლის ენაზე, რომ მშობლიური ენა რამდენიმედ კიდეც დაავიწყდა, რასაც მაინც და მაინც არ სწუხდა, რადგან თავისი ღირსების დამცირებად მიაჩნდა იგი და, ცუდ გუნებაზე ყოფნის დროს ისეთ შეხედულებას გამოსთქვამდა, ვითომ ჩვენ დროში ციცერონის ჭეშმარიტი მჭერმეტყველობის საუკუნეში დანტეს ღვთაებრივი კომედია სხვევ ქალალდათ თუ გამოდგება ძეხვების სავაჭროშიო. სამაგიეროდ, როდესაც მესერ ფაბრიციო უხსნიდა, თუ როგორ უნდა ეწერათ სიტყვა consumptum— ანბან p-თი თუ უმისოდ — მსმენელთა თვალწინ ისეთი საუნჯე იშლებოდა, რომ წრეს გადასული ქარაფშუტა, ჭკუა თხელი და ხეპრე მსმენელიც კი მისდამი მოკრძალებასა და მორიდებას გრძნობდა.

ტანმორჩილი, სუსტი და გამხდარი ადამიანი იყო მესერ ფაბრიციო, რადგან დაუსრულებელმა და წრეს გადასულმა მეცნიერულმა შრომამ და მეცადინეობამ დაასუსტუს მისი ორგანიზმი, გამომეტყველება კი ამაყი და მკაცრი ჰქონდა, ღრმა აზროვანი თვალები, ხშირი და მოღუშული წარბები, ამპარტავანი, დიდებული და ნელი ნაბიჯი სიარულში; კურდღლის ტყავმოვლებულ მაყვალისფერ მოსასხამსა და მრგვალ მურაბიან ნახუჭის მზგავს, რომელსაც ივანობის ღამეს უცხობენ ბავშვებს დიასახლისნი, ვეებერთელა ქუდს მასავით მოხდენილად და ღირსეულად არავინ ატარებდა

ბოლონიის უნივერსიტეტში იმ დროს სწავლობდა — ერთი საეკლესიო, მეორე — სამოქალაქო უფლებას — რომის უმაღლესი წრის, სავლლის კეთილშობილი ოჯახის ორი ახალგაზდა წევრი; ორივე კარგი და ჩინებული მეგობრები იყვნენ. ერთს ბუჩჩიოლო ერქვა, მეორეს კი პიეტრო პაოლო და რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ საეკლესიო უფლების კურსი უფრო მოკლეა და მისი შესწავლაც ნაკლებ დროს მოითხოვს სამოქალაქოსაზე, ამიტომ ბუჩჩიოლომ ადრე დაამთავრა მეცადინეობა, ვიდრე პიეტრო პაოლომ, მიიღო ლიცენტიატის ხარისხი, გადასწყვიტა სახლში დაბრუნება და ასე მიმართა მის მეგობარს:

— საყვარელო პიეტრო, ლიცენტიატის ხარისხი მივიღე უკვე და სამშობლოში წ სვლას ვაპირებ.

პიეტრომ მიუგო:

— მარტო ნუ დამტოვებ აქ, უცხოეთში, გევედრები. ეს ზამთარიც აქ გაატარე. გაზაფხულამდე მეც დავამთავრებ მეცადინეობას და ერთად წავიდეთ. მანამდე რომ ტყუილ უბრალოდ არ დაკარგო დრო, ამოირჩიე მეცნიერების რომელიმე დარგი და შეუდეგ სწავლას.

ბუჩჩიოლო დათანხმდა, მეგობარს, მოცდას შეჰპირდა მივიდა თავის პროფესორთან, მესერ ფაბრიციოსთან და უამბო:

— დარჩენა გადავწყვიტე, ჩემ ბიძაშვილს ვუცდი, მაესტრო, ამიტომ უმორჩილესად გთხოვ ამ ხნის განმავლობაში მეცნიერების რომელიმე ლამაზი და წარმტაცი დარგი შემასწავლო.

— ძლიერ კარგი, — მიუგო მაესტრომ, — ამოირჩიე, რომელიც გსურდეს და სიამოვნებით გამაცადინებ.

მაშინ ბუჩჩიოლომ მიმართა კვლავ თხოვნის კილოთი:

— თუ თქვენი მოწყალე ნებართვაც იქნება, მსურდა შემესწავლა „სიყვარულის მეცნიერება“.

ასეთი თხოვნის გაგონებაზე მესერ ფაბრიციომ წარბები მოღუშა და მოემზადა კადნიერი ჭაბუკის ისე დატუქსვას, რომ მეორედ აღარ გაებედნა პროფესორებთან ხუმრობა; გადახედა ბუჩჩიოლოს და ისეთი სინაზე, გულწრფელობა, გულუბრყვილობა და ნდობა ამოიკითხა მის თვალებში, წყურვილი ცოდნისა, რომ მომზადებული ლათინური ლანძღვა ტუჩებზე შერჩა, მოაგონდა რაღაც ძველი სასიამოვნო და სამხიარულო თავშესაქცევი ამბავი, რომელიც სულ არ შეეხებოდა არც სილოგიზმებსა და არც პრისციანისა და დონატის გრამატიკას; მასაც გაეღიმა ღ უპასუხა მოწაფეს:

— ჩინებულია. უკეთეს ვერას ამოირჩევდი, რომ ასე გაეხარებინა ჩემი გული. მაშ ასე, მომავალ კვირას წახვალ მინორიტთა ეკლესიაზე, ცისკარზე, როდესაც მთელი ქალაქის მანდილოსნები იქ არიან და კარგათ დაათვალიერე, თუ მოგეწონება ვინმე.

როდესაც ნახავ ასეთს, — აედევნე შორიახლოს, სანამ ბინაზე მივიდეს, — შემდეგ ჩემთან მოდი. აი პირველი გაკვეთილი; დარწმუნებული ვარ დარიგებას სისწორით შეასრულებო.

სწორედ ისე მოიქცა ბუჩჩიოლო, როგორც მაესტრომ ასწავლა. მივიდა ეკლესიაში და დიდი ყურადღებით ათვალიერებდა აუარებელ ბანოვანთ.

ყველაზე მეტად ერთი ცბიერ თვალებიანი ქალი მოეწონა. ეკლესიიდან გამოსვლისას გაჰყვა ბუჩჩიოლო და მისი ბინაც შეიტყო; მისი საქციელიდან ქალმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სტუდენტს გადაუწყვეტია მისი ტრფიალი, არშიყობა.

შემდეგ მაესტროსთან მობრუნდა ბუჩჩიოლო და უამბო:

— პირველი გაკვეთილი შევასრულე, ვნახე კიდეც ისეთი ქალი, რომელიც მომწონს.

მესერ ფაბრიციოს გასართობად და თავის შესაქცევად მიაჩნდა ბუჩჩიოლოს ახირებული საქციელი, დასცინოდა კიდეც მის გულუბრყვილობას და იმ „მეცნიერებას“, რომლის შესწავლაც მიზნად დაისახა.

ამაყად და რიხიანად მიმართა:

— ეხლა ორჯელ ან სამჯერ აუარჩაუარე ფანჯარის წინ, — მხოლოდ შენი ღირსებისამებრ კი გეჭიროს თავი. ისე, ქურდულად გადახედე ხოლმე, რომ იმ ქალის მეტმა არავინ შეგამჩნიოს, ვითომ შეურყეველი ხარ. შემდეგ ისევ ჩემთან მოდი. ეს იქნება მეორე გაკვეთილი.

ბუჩჩიოლო გამოეთხოვა მასწავლებელს, მივიდა იმ ქუჩაზე, რომელზეც მისი შეყვარებული სცხოვრობდა და დაიწყო სახლის წინ სიარული დიდი სიფრთხილით, მხოლოდ ისე კი, რომ ქალს შეემჩნია. მანდილოსანმა დაინახა კიდეც. ბუჩჩიოლომ რამდენჯერმე მოწიწებით დაუკრა თავი. ქალმაც სალამით უპასუხა და ბუჩჩიოლო დარწმუნდა, რომ ისიც თანაუგრძნობდა. მაშინვე მობრუნდა და დაწვრილებით უამბო მასწავლებელს, რომელმაც დაარიგა:

— კარგი და მშვენიერი. კმაყოფილი ვარ შენით. ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის ეხლა უნდა მიუგზავნო ვინმე ქუჩაში მოხეტიალე მოვაჭრე დედაკაცთაგანი. უბრძანე გადასცენ შენს მანდილოსანს რომ მზად ხარ შეუსრულო ყოველივე სურვილ-ნდომანი, რომ მასავით არავინ გიყვარს ამ ქვეყნად, რომ გადაწყვეტილი გაქვს მისი მონობა. პასუხს მოუცადე, მერე ჩემთანვე მობრუნდი და მე გასწავლი როგორ მოიქცე შემდეგში.

წავიდა ბუჩჩიოლო, მოძებნა ამისთანობაში ერთი გაქნილი დედაბერი და მიმართა:

— დიდი სამსახურის გაწევა შეგიძლიათ, თუ უარს არ იტყვით ერთ დავალებაზე. სასყიდლით კმაყოფილი დარჩებით.

დედაბერმა უპასუხა:

— დავალებას პირნათლად შევასრულებ რადგან ჩემი შრომით ვირჩენ თავს, ვით პატიოსან ქალს შეეფერება.

ორი ფლორინი მისცა ბუჩჩიოლომ და უთხრა:

— გთხოვთ მიხვიდეთ მასკარელას ქუჩაზე, სადაც ახალგაზდა ჩადონა ჯიოვანნა სცხოვრობს და რომელიც მე მიყვარს გადაეცით, რომ მზად ვარ ვემსახურო მისი ერთგული მონა-მორჩილი და ყოველი მი-

„აზრისას", ყოყლოჩინობას, „სახალხო ფურცლისას" მუდრასა და ხვეწნას „საქართველოისას" უმწეოდ-უღირსთაგანყბად აღებულ მდგომარეობას, „სამშობლოისას" ღ თქვენვე მითხარით—ღირს თუ არა ისეთ საზოგადოებაში მუშაობა, სადაც მადლი მტლად იქცევა ხოლმე და სადაც ბედაურების მაგივრად კატები კნავიან, ისიც ამიტომ, რომ რომელიმე გაყვიზინებულ „მიმართულებას" გარეშეებმა ცხვირი არ მოუგრიხონ.

თქვენი არ ვიცი და მე-კი მგონია, რომ უმჯობესიაგულწრფელი მამულიშვილიისევ მდაბიო ხალხს დაუბრუნდეს ღ იქ, ამ ხალხის წიაღში, ეძიოს ძალა და ენერგია საქართველოს ასაღორძინებლად—მშობლიურსა და ხალხოსნურ ნიადაგზე! ..

ია ეკალაძე.

## ქართული პრესა.

კოოპერატივებისა და მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება დიდ შეღავათს აძლევს ხალხს და ჩვენი ხალხიც ეტანება ასეთ დუქან-მაღაზია ფირნეების გახსნას.

ყოველივე ახალ საქმეს ახალ დაწყებულებას დიდი დაკვირვება, დიდი გამოცდილება სჭირია. სასურველია, რომ ამ ახალმა საქმემ თავობითვე დაიმსახუროს ხალხის ნდობა და შემდეგ, როცა თვით ხალხი ჩახვდება და დარწმუნდება ამა თუ იმ დაწყებულების სარგებლობაში, საქმესს უფრო მკვიდრი ნიადაგი მიეცემა და მისი დაღუპვის შიში აღარავის ექნება. მინამდე კი ვიმეორებ დიდი სიბრთხილე გვმართებს ხოლმე, რომ ამა თუ იმ საქვეყნო საქმეზე ხალხს გული არ გავუტეხოთ. ამავე აზრს გამოსთქვამს გაზეთი „საქართველო" როცა ეხება კოოპერაციას და ამბობს:

კოოპერაცია ჩვენში ახალი ხილია, მაგრამ სხვა ქვეყნებში მას კარგა ხნის წარსული აქვს. ევროპის სახელმწიფოებში ის დიდათ არის განვითარებული. წესიერად განვითარებულს კოოპერაციას ხალხისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, ხოლო გაბედნიერებით მას არც ერთი ხალხი არ გაუბედნიერებია და სამოთხე მისი შემწეობით არსად არ დამყარებულა. ჩვენში კი კოოპერაციას სხვა ნაირად უყურებენ მისი შემწეობით უნდათ აღებ-მიცემობის მოსპობა, თანამედროვე ეკონომიური წყობილების გარდაქმნა, თვით დღევანდელი ეკონომიური ვითარების ძირითადი საფუძვლის, კერძო საკუთრების მოსპობა და მის ნაცვლად ქვეყანაზედ სოციალიზმის დამკვიდრება. რასაკვირველია გულუბრყვილოთა ასეთი იმედების დამყარება კოოპერაციაზედ, მაგრამ ჩვენში ცნობილი „კოოპერატორები" ასეთ ყალბს იმედებზე აშენებენ თავის კოოპერატიულ მოღვაწეობას იმის მაგიერ, რომ მათ ხალხს კოოპერაციის ნამდვილი ღირებულობა და მნიშვნელობა აუხსნან გაუმარტონ, ისინი ხალხს არწმუნებენ, რომ კოოპერაციის საშუალებით ყველა ვაჭრები განადგურდებიან და ეს კიდევ რაა—თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება დაემხობა და ახალი. სოციალისტური ცხოვრება დამყარდებაო. განა მათ არ იციან, რომ კოოპერაციის ასეთი სასწაულები არსად არ მოუხდენია? სხვაგან კოოპერაციას ასეთი იმედებით არ უყურებენ, ბევრად უფრო ზომიერი სურვილებით ჰკიდებენ მას ხელს. ამიტომაც სხვაგან კოოპერატიული მოძრაობა ბუნებრივად ვითარდება და საგრძნობელი სარგებლობაც მოაქვს თავის მონაწილეებისათვის. წვრილი მეურნეები შეკავშირდებიან, რომ საერთო ძალით მოაწყონ თავის ნაწარმოებების გასაღება გლეხები, მუშები თუ სხვა მოქალაქენი ამხანაგდებიან, რომ საერთო ძალით ეძიებონ მათთვის საჭირო საქონელი შეძლებისდაგვარად პირდაპირ მწარმოებელთაგან. ის აკავშირებს სუსტებს, რომ შეერთებული ძალით გაუადვილოს არსებობისთვის ბრძოლა. მისი საჭიროება დიდია, სადაც აღებ მიცემობა ძველის, ჩარჩულის წესით სწარმობს აქ კოოპერაციის შემწეობით საზოგადოება თავს იცავს ვაჭრების შეუზღუდავი მადისაგან. მისი შემწეობით კოოპერატივების წევრებს თავიანთ ჯიბეში რჩებათ ის ფული, რომელიც კერძო ვაჭრებს უნდა წაეღო მათთვის საქონლის მიწოდებისთვის.

ჩვენი საზოგადოება და მისი მეთაურებიც ასე რომ უყურებდნენ ამ დაწესებულებებს, მისი სარგებლობა უთუოდ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა და კოოპერაციის გარშემო არ შეიქნებოდა ისეთი ატმოსფერა, რომელიც მას დიდათ ავნებს და დაზარალებს. ჩვენი სოფლები დაარწმუნეს, რომ კოოპერატიულმა დუქანმა უსათუოდ და ყოველ შემთხვევაში კერძო ვაჭარზედ უფრო იაფად უნდა გაიყიდოს. თუ ათასჯერ ეს დუქანზე უფრო იაფად ჰყიდდა საქონელს, ხოლო ერთხელ სხვადასხვა დაბრკოლების გამო ვერ მოახერხა საქონლის უფრო იაფად გაცემა, ხალხი საქმის მეთაურებს უკვე უნდობლად უცქერის, ბოროტმოქმედებასაც კი სწამებს. ასე ხდება ამ ჟამად, როდესაც ვაჭრებმა და მრავალმა კოოპერატივებმა შაბიამანი ბლომად შემოიტანეს. ზოგიერთ კოოპერატივს ეს საქონელი ძვირად დაუჯდა და ამის გამო ვერ ახერხებს კერძო პირებზე უფრო იაფად გაყიდვას. ზოგიერთი კოოპერატივს ფუთი 40 მან. დაუჯდა, როდესაც კერძო ვაჭრები ამ საქონელს ამ ჟამად 17—18 მანეთადაც კი ჰყიდიან. ამ ნიადაგზედ, როგორც კახეთიდან გვატყობინებენ, ხალხში დაიბადა საშინელი მტრული განწყობილება კოოპერატივებისა და მათი მეთაურებისადმი. ხალხი მათ, თურმე, ბოროტმოქმედებასაც კი აბრალებს, ასეთი შედეგები გამოიწვია ცუდათ დაწყებულმა საქმემ. რასაკვირველია ასეთი რამ სხვა პირობებშიაც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხის სულიერი განწყობილება უთუოდ კოოპერატივების შეცდომებით არის გამოწვეული. ხალხს რომ უნდა ჩაუნერგოთ სადი შეხედულება კოოპერაციაზე. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ შაბიამანით მოვაჭრე კერძო პირი და ამხანაგობა ორივე ვაჭრებია და მათ მიერ შეძენილი საქონლის სიიაფე თუ სიძვირე მრავალ გარეშე პირობებზეა დამყარებული. ათჯერ რომ კოოპერატივი თავის წევრებს საქონელს კერძო ვაჭარზე უფრო იაფად მიაწოდებს, ერთხელ თუ ამას ვერ შესძლებს, ამის მიზეზების გამორკვევაა საჭირო და ზეპირ ბრალდებებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ კოოპერატივებს ყურადღება ჰმართებთ რომ ასეთი შემთხვევითი მოვლენის გამო, ხალხმა შემცდარი შეხედულება არ შეადგინოს კოოპერაციის შესახებ და თვითონ კოოპერაციის იდეა არ შეიძულოს.

## მოლოცვის დეპეშა.

თეოფილე ხუსკივაძის სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო.

**აბასთუმანი.** აბასთუმნის მოაგარაკენი გულითად სალამს უძღვნიან სამშობლო ლიტერატურის დაუღალავ და ჭეშმარიტ მუშაკს ძვირფას იუბილიარს და ვუსურვებთ კვლავაც დიდხანს განეგრძოს თავის სასარგებლო და ნაყოფიერი შრომა.

აბასთუმნის ქართველები.

## დეპეშა.

(შემთხვევითი, მოსკოვიდან გაზეთ „სამშობლოს")

კოპენგაგენიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ოსმალეთი თანახმა ყოფილა სიონისტებს მიყიდოს პალესტინა, სადაც ებრაელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკას დაარსებენ.

ცაცაშვილი.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ამ მოკლე ხანში ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ შემდეგი შინაარსის მოწოდებები გამოკრა:

ახლანდელ ომის დროს საერთო სამშობლოს დასაცავათ პატარა საქართველო გზავნის ბრძოლის ველზე ათასობითა და ათიათასობით თავის შვილებს. რომელთა სისხლითაც ირწყვება მთელი რუსეთის მიწაწყალი.

დიდება გმირთა რომელნიც გადაურჩებიან ამ საშინელ ომს, მაგრამ დიდება იმათაც რომელთაც გმიურულად თავი დასდვეს თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მათი ნეშტნი შემოგვლალადებენ ჩვენ და მოითხოვენ საზოგადოების ყურადღებას.

ქართველნო! ნუ დავივიწყებთ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კეთილ-შობლურ ადათს. შევერთდეთ ერთი გრძნობით, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ სახელი ჩვენის ძმებისა, რომელთაც დაღვარეს სისხლი სამშობლოსათვის და დაუდგათ მათ ძეგლი, რომელნიც გაახსენებს ჩვენ შვილებს, რომ თანამედროვენი დიდათ აფასებენ მოძმეთა ღვაწლს. ძეგლის ასაშენებლათ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ამოურჩევია დიდუბის გალავანი, სადაც მოეწყო პანთეონი დიდებულ მწერლებისა და მოღვაწეებისა.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელნიც თანაუგრძნობენ ზემოაღნიშნულ მიზანს შეიტანონ თავისი წვლილი ამ დიდი საქმისათვის.

დაღუპულ გმირთა სიის სისწორით შესადგენათ საზოგადოების გამგეობა იწვევს, გარდაცვლილთა მშობლებს მოაწოდონ გამგეობის კანცელარიას (სასახლის ქუჩა № 5 თბილისში) ბრძოლის ველზე მოკლულთა სია.

◆ ქართული გიმნაზიის გამგეობას სამხედრო საქმეთა კანცელარიიდან მოსთხოვეს სია 1899 წელში დაბადებულ მოწაფეთა. ამ მოწაფეებს სამხედრო სამსახურში ამ მოკლე ხანში გაიწვევენ.

ამავე გიმნაზიის გამგეობამ მზრუნველისაგან მიიღო მოწერილობა. გაუგზავნონ მათ იმ მოწაფეთა სია, რომელთაც სამხედრო უწყებიდან შეღავათი აქვთ მიცემული და რომელნიც დაბადებულნი არიან 1894,—95,—97 წლებში. მზრუნველი თხოულობს აგრეთვე შეატყობინონ, რომელი მათგანი რომელ კლასშია სწავლობს, ან რომელ სასწავლებელში სწავლობდენ უწინ, ან ამ გიმნაზიაში როდის მიიღეს და სხ.

გიმნაზიის მთავრობამ უკვე გაუგზავნა მზრუნველს ასეთი სია.

◆ ქართულ გიმნაზიის ექსკურსია რომელიც ბ. სანიკიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ქართლ-კახეთში, გუშინ წინ ქუთაისში დაბრუნდა.

◆ კვირას, 17 ამ თვეს სოფელ გუბში ალექსანდრე ცაგარეიშვილის შენობაში ახალგაზდა სცენისმოყვარეთა მიერ გამართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: „სალდეგრძელო", გრიგოლ ორბელიანისა, „დედა და შვილი" ი. ჭავჭავაძისა და „უბედური დღე" ვოდევილი 1 მოქმედებათ ვ ბალანჩივაძისა.

◆ დუნდუას ოთხკლასიან პროგიმნაზიაში მისაღები გამოცდები ლაიწყება 20 აგვისტოდან თავისუფალი ადგილები. იქნება საანბანოდან დაწყებული მეოთხე კლასამდი.

◆ 6 ივლისს ღამის 3 საათზე დ. ზესტაფონის მცხოვრების პოდპოლკოვნიკის დავით ასათიანის სახლში გაჩნდა ცეცხლი, დაიწვა ორ სართულიანი სახლი და რაც კი რამ შიგ ავეჯი იყო ზარალი სულ 5000 მანეთამდია.

◆ ებრაელთა უბანში [illegible] ძურეა, საჭიროა ამას ყურადღება [illegible] ცეს, ვისგანაც ჯერ არს.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ ზუგში (ზუგდიდის მაზრა) მომხმარებელი საზოგადოება „დახმარება".

◆ 5 ივლისს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო, გახსნან სოფელ იდორში მომხმარებელთა საზოგადოება „დახმარება".

◆ რედაქციამ მიიღო მორიგი ნომერ (№ 13), „სასოფლო გაზეთისა", შემდეგი შინაარსით: მეურნეობა და ხალხის თვითმოქმედება,—ალ. შარაშიძე, მეთუთუნეობა—ალ. შარაშიძე, ნაცარი მეწველი ძროხის ამორჩევა. საგუბერნიო დასამაზრო საერობო სამმართველოებს. სოფლის გოგოს (ლექსი),—ი. სიხარულიძე. ქალთა სამეურნეო სასწავლებლები. ბესარაბიის საშუალო სასწავლებელი. აღმოსავლეთი გურია ინ—სანი. კითხვა-პასუხი, ქრონიკა.

### შეცდომის გასწორება.

„სამშობლო"—ს 403 № ში, რ. საჯავახოელის ლექსში შემდეგი კორექტურული შეცდომაა: დაბეჭდილია ჭირს და ვარამს თ ვიდე შენი სოფლის მწველათა უნდა იყოს: თვლიდე შენი სულის მწველათა.

## სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც სახალხო მასწავლებლებმა ჩვენში საპედაგოგიო ასპარეზზე, მუშაობა იწყეს.

ჩვენის ქვეყნის სავალალოდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი სახალხო სკოლის მასწავლებლები დაქსაქსული იყვნენ და საერთო საზიარო საქმეს ცალცალკე-თავისებურად განაგებდნენ. ასეთი სამწუხარო გარემოებით ნაყოფიერად სარგებლობდნენ ჩვენი ქვეყნის მტრები და რაც უნდოდათ იმას ჩადიოდნენ. უძალლო ჩვენ ქვეყანაში, უჯორხოთ დაიარებოდნენ ეს ვაჟბატონები, და იფქლიოს მაგიერად ბლომათ სთესდნენ ღვარძლს.

სწორედ მასწავლებლების დაქსაქსულობამ მოუწყო ჩვენ მტრებს ხელი და წარმოაშობია ჸაშორდიზმი—მეგრული ანბანის შექმნა, ამავე დაქსაქსულობის იმედით გაჩნდა ლევიცკის მუნჯური მეთოდი და ამავე დაქსაქსულობამ ჰგანდევნა 1881 წლის გეგმა ჩვენი სკოლებიდან. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლები თავიდანავე გრძნობდნენ დაქსაქსულობის მავნებლობას, მაგრამ მაშინ შეერთებას დრო და გარემოება და უმთავრესად კი თვით მასწავლებელების უმრავლესობის მოუმზადებლობა, ხელს არ უწყობდა. და ბოლოს ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ

---

სი სურვილი შევასრულო. შეგიძლიანთ უფრო ლამაზი და მომხიბლავი სიტყვებით გაამშვენიეროთ ეს ჩემი თხოვნა.

დედაბერმა მიუგო:

— ვიცი, ვიცი. ღვთის მოწყალებითა და ყოვლად წმინდა ქალწულის შეოხებით ისე მოვაგვარებ ამ საქმეს, რომ მეორედ მობრძანდეთ ჩემთან. უმთავრესია დრო შევარჩიო, ამაზე ზრუნვა კი მე მომანდეთ.

— მაშ კარგი, წადი და მე კი აქ დაგიცდი,-უპასუხა ბუჩჩიოლომ.

თავის სავაჭრო კალათით გასწია დედაბერმა მასკარელლას ქუჩისკენ, სახლის კარებს წინ დაინახა მჯდომარე მადონნა ჯიოვანნა და მიმართა:

— მადონნა, ნუ თუ არას ინებებთ ჩემ საწვრილმანოდან? ინებეთ, რაც მოგეწონოთ, ნუ მომერიდებით.

დედაბერი ფერხთით მიუჯდა და აწონებდა ლენტებს, ლეჩაქს, ჩანთებს, სარტყელს, მაკრატლებს, სარკეებს, და სხვას

დიდხანს ათვალიერა ჯიოვანმა მისი საწვრილმანო! ძლიერ მოეწონა ერთი ჩანთა და მიმართა დედაბერს:

სიამოვნებით ვიყიდდი აი ამ ჩანთას, ფული რო მქონდა.

დედაბერმა მიუგო:

მადონნა ღირს კი მაგაზე ლაპარაკი? გეუბნებით, ინებეთ მეთქი, რაც გსურდეთ ფული მიღებული მაქვს.

ქალი გააკვირა დედაბრის ასეთმა გულუხვობამ და ჰკითხა:

— რის თქმა გსურთ მაგით, კეთილო ადამიანო? რას ნიშნავენ ეს სიტყვები?

ეხლა კი ჩურჩულით დაიწყო დედაბერმა:

— ამ წუთას აგიხსნით მადონნა. ერთმა ჭაბუკმა მომგზავნა თქვენთან, სახელად ბუჩჩიოლო ეწოდება. უყვარხართ, სულით და გულით მონდომებულია გასიამოვნოთ რითიმე ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი დაბრკოლება, რომელსაც სიამოვნებით არ გაუმკლავდება, რომ როგორმე დაიმსახუროს თქვენი სიყვარული. უფალი, ღმერთი ვერ მიზამდა ისეთ მოწყალებას, ვიდრე ჩემ სათაყვანებელ არსებას ენდომება რისმე დავალებაო. განუწყვეტლივ ტირის, სანთელივით დნება საბრალო. ზეციერ დედოფლისადმი ლოცვა ნუ მეღირსოს ალსასრულის ჟამს, ელვამ და მეხმა გამაქრონ აი ამავე ადგილს, თუ რაიმე ვიცრუო; იმისთანა ლამაზი, მოხდენილი, ახოვანი, კეთილშობილი ყმაწვილი კი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში!

სიბრაზისაგან მთლად აენთო ჯიოვანნა.

— სირცხვილის რო არ მერიდებოდეს, საკადრის პასუხს მოგცემდი, შე ბებერო ლქაჯო! როგორ მიბედავ პატიოსან ქალს?! ღმერთმა გკითხოს სამაგიერო!

მოხვია თვის საწვრიმალოს დედაბერმა და ბუჩჩიოლოსთან მისული იყო უკვე და მაინც არა სჯეროდა, რომ გადარჩა ხიფათს.

— აბა! მიამბე, როგორ არის საქმე?

— ცუდად, ძლიერ ცუდად, ჩემო თვალის ჩინო; ისე ცუდად, რომ მეტი აღარ შეიძლება. ცალი ფეხი სამარეში მიდგია და, ასეთი შერცხვენა, ასეთი თავს ლაფ დასხმა ჯერ არ მახსოვს. სწრაფად რო არ მომექუსლა, იქნება პასუხიც ველარ მომეტანა. თქვენი არ ვიცი, მესერ ბუჩჩიოლო და, მე კი ღმერთმა დამიფაროს, აღარავითარ სასყიდლისთვის არ მივალ იმ ქალთან და თქვენც გირჩევთ, ნუ გაეკარებით ახლოს.

ძლიერ ეწყინა ბუჩჩიოლოს, საჩქაროდ მიირბინა მასწავლებელთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

მესერ ფაბრიციომ ანუგეშა და დაარიგა:

— დამშვიდდი, ჩემო ბუჩჩიოლო. არც ერთი ხე არ წაიქცევა პირველი შემორტყმით. ერთხელ კიდევ გაისეირნე მის ფანჯარასთან და ნახე, როგორ შეგხვდება. შემდეგ კი ისევ ჩემთან მოდი.

ბუჩჩიოლომ კვლავ ჩაუსეირნა შეყვარებულს. ჯიოვანნამ დაინახა თუ არა ბუჩჩიოლო, მოსამსახურეს მოუწოდა და უბრძანა:

— ულივა, ხედავ იმ ყმაწვილს, მიდი და გადაეცი, რომ სტუმრად დამეწვიოს ამ საღამოს.

წამოეწია ულივა და სთხოვა ბუჩჩიოლოს:

— მესერ, მადონნა ჯიოვანნამ გთხოვათ გვესტუმროთ ამ საღამოს, სიტყვა მაქვსო.

ბუჩჩიოლო განცვიფრდა, ენა დაება. მაინც დაუბარა მოსამსახურეს:

— კარგი. გადაეცი შენ ქალბატონს, რომ სიამოვნებით მოვალთქო.

შემდეგ საჩქაროდ მიირბინა ფაბრიციოსთან. პროფესორსაც გაუკვირდა და ჰკითხა:

— რომელ ქუჩაზე სცხოვრობს შენი მანდილოსანი?

— მასკარელლას ქუჩაზე.

— მოსამსახურეს რა ჰქვიან?

— არ ვიცი მაღალია, შავგვრემანი, მარცხენა ფეხით კოჭლობს.

— ჰერკულესს ვფიცავ ულივაა!—ჩაილაპარაკა თავისთვის პროფესორმა და კიბოსავით აწითლდა სხეზე.

— მე მიბრძანეთ რამე, მაესტრო?

ფაბრიციოს ეგონა თითქო ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ. ბუჩჩიოლო ორად ეჩვენებოდა. ქალის სახელს აღარ ჰკითხავდა იმედ გაცრუებული პროფესორი, რომ მადონნა ჯიოვანნა არ დაესახელებინა, პროფესორის მეუღლე და ასეთ უბედურებას კი ვერ გადიტანდა ის. ზამთრობით უნივერსიტეტის შენობაში სცხოვრობდა პროფესორი, რომ ლამითაც ეკითხნა ლექციები და მადონნ ჯიოვანნა კი მოსამსახურის ამარად იყო სახლში.

— პაემანზე წახვალ ბუჩჩიოლო?

— რასაკვირველია, წავალ.

— წასვლის წინ შემოიარე ჩემთან.

— კარგი,—მიუგო ბუჩჩიოლომ და წავიდა მაესტრო დარწმუნდა, რომ ეჭვი არ აღლია ბუჩჩიოლოს.

— სულაც არ მინდა, რომ ჩემიანებთან შეისწავლოს მან „მეცნიერება",—ფიქრობდა მესერ ფაბრიციო.

საღამოს მოიკითხა ბუჩჩიოლომ:

— ჩემი წასვლის დროა, მაესტრო.

— წადი და ფრთხილად იყავ.

— ოო, მაგაში კი დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ბუჩჩიოლოს ტანზე სქელი ჯავშანი ეცვა იღლიაში მახვილი ჰქონდა დამალული და სარტყელზე გრძელი ხანჯალი ეკიდა,—ერთი სიტყვით, ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა და მოემზადა კიდეც მესერ ფაბრიციო წასვლისას, ისე დაედევნა, რომ ბუჩჩიოლოს არ შეუმჩნევია. მიუახლოვდა ქალის სახლს და დაარაკუნა თუ არა, იმ წამსვე გაუღო კარები და სახლში შეიპატიჟა. თავისი თვალით იხილა პროფესორმა, რომელ სახლშიც შევიდა ბუჩჩიოლო და, დარწმუნდა-რა, რომ მადონნა ჯიოვანნაა მისი საყვარელი, პროფესორის ღირსეული მეუღლე, სიბრაზით ხორცს იჭამდა.

—მინერვას ვფიცავ, ჩემს ცოლთან სწავლობს „მეცნიერებას".

მერე ფაბრიცო გაეშურა უნივერსიტეტის შენობისაკენ, აიღო მახვილი, ხანჯალი და მასკარელლოს ქუჩისკენ გამოექანა, რომ მოულოდნელად დაცემოდა თავს ბუჩჩიოლოს. ჯიოვანნა და მისი სატრფო კი ამ დროს კერასთან ისხდნენ და განცხრომას ეძლეოდენ და, როდესაც კარებზე მოესმა რაკუნი, მიხვდა ჩემი ქმარი იქნებაო, მოჰკიდა ხელი ბუჩჩიოლოს, მეორე ოთახში გაიყვანა და ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე დაწყობილ, ჯერ კიდევ სველ სარეცხ ქვეშ დამალა. შემდეგ კარებთან მიირბინა და ჰკითხა: „ვინა ხარ?"

მაესტრო ღრიალებდა:

— გააღე კარი, საძაგელო!

ჯიოვანნამ გაუღო კარი და შეიარაღებული პროფესორის დანახვაზე შეჰკივლა:

—აი, აი, აი! . ეს რას ნაშნავს, მესერ ფაბრიციო?

ბრაზმორეული პროფესორი კი უფრო უმაღლებდა ხმას:

—აპოლონს ვფიცავ, ვიცი, ვინც არის ეხლა ჩემს სახლში.

—ვაი მე, უბედურს,—ტიროდა ჯიოვანნა.

—რას ამბობთ? სრულს ჭკუაზე ხართ? დაძებნეთ მთელი სახლშიდაც თუ ვინმე ნახოთ, ოთხათ გამკვეთონ. რა სირცხვილში მაგდებთ, ღმერთო ჩემო, რა სირცხვილში? სამაგიეროს მიხდით ერთგულობისთვის!? შეეკითხეთ მეზობლებს, ისინი გეტყვიან რასმე ჩემი პატიოსნებისა და თავდაჭერილობის შესახებ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთი დედაბერიც მომიგზავნა ვიღამაც. . მაგრამ განა ღირს კი ლაპარაკი?.. თუ მოგელანდათ რამ, გადიწერთ პირჯვარი და ევედრეთ ღმერთს, დაგიცავთ ეშმაკის ცთუნებისაგან, რომელსაც მოუნდომებია თქვენი სულის დაპატრონება.

გ მუმლაძე.

(შემდეგი იქნება).

აუცილებლად საჭიროა, ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის და თვით მასწავლებლების სასარგებლოდ მასწავლებლების ერთმანეთთან შეკავშირება.

ჩვენი საუკეთესო მასწავლებლების აზრით მასწავლებლების მჭიდრო ფორმალური დაკავშირებისათვის პირველად მათი გონებრივი დაკავშირებაა საჭირო, და ამ უკანასკნელის სისრულეში მოყვანისათვის სახალხო მასწავლებელთა საპედაგოგიო ჟურნალის საჭიროება იქმნა ცნობილი. ტანჯული სახალხო მასწავლებლების გონებრივად შეკავშირება, დიდათ პატივცემულმა, ჩვენში კარგათ ცნობილმა პედაგოგმა გამოცდილმა "სახალხო მასწავლებელმა, ბატონმა ლუარსაბ ბოცვაძემ იდვა თავზე იმის და სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ იმისმა ჟურნალმა „განათლებამ", რომელიც აგერ რამოდენიმე წელიწადია, რაც გამოდის, დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მასწავლებლებს. ამ ჟურნალმა ნათლად დაგვანახვა ჩვენი მტერ-მოყვარენი, შეგვაჩვია მეცნიერულ მსჯელობას და გაგვიწალდა ეკლიანი საპედაგოგიო გზა. მიუხედავად ყველა ამისა, სახალხო მასწავლებლებს შორის გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებმაც წუნი დადვეს ამ ჟურნალს, როგორც თვიურს და კვირეული ჟურნალის დაარსება განიზრახეს

კვირეული საპედაგოგიო ჟურნალის დაარსება დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებლებმა განიზრახეს და ამა წლის აპრილის კიდევაც 10 იწყო ჟურაალმა გამოსვლა.

ძლივს მოასწრო ამ ჟურნალის პირველმა ნომერმა სინათლის დანახვა, რომ ჟურნალის მოტრფიალებმა ერთი აურზაური და კიჟინა ასტეხეს: „ჩვენ ასეთი ჟურნალი არ გვინდოდაო", „მისი შინაარსი არ ვარგაო„ და სხვა სამწუხარო რომ არ იყოს სასაცილოა ღმერთმანი ზოგიერთი ჩვენი მასწავლებლების ყოფაქცევა. აბა ერთი მიჩვენონ მათ იდეალური კვირკული საპედაგოგიო ჟურნალი რუსულ ენაზე? დღიურსა ოს კვირეულს ჟურნალ-გაზეთებს უფრო სწრაფი მუშაობა უნდა და მასალაც უფრო სუსტათ დამზადდება, განსაკუთრებით იქ, სადაც შერჩეული დიდი ძალები არ არიან. ნუ ეს დღემდის ჩვენმა მასწავლებლებმა არ იციან? და შერჩეული დიდ ძალებს რომ გონანარი სასყიდელი უნდა, ჩვენო პედოგოგებო, ესეც ხომ კარგად მოგეხსენებათ. არსებობის პირველ ხანებში, თითქმის, არამც თუ ჩვენში, ყოველ ქვეყანაში კოჭლობს ჟუნალ გაზეთები, ამისთვის ჩვენი სახალხო სკოლის მასწავლებლები მეტის მოთმენებით უნდა მოქცეოდენ ნორჩ ჟურნალს „სკოლა და ოჯახს" და მისი შეჩერება არ უნდა გადაეწყვიტათ.

ვინც თავის შვილს თითონ უძახის გლახას იმას სწამდეს, რომ მის შვილს სხვაც ამ სახელით შეამკობს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მასწავლებლებს გონიერება დაძლევსთ და მათი შემაკავშირებელი ორგანოს განახლებისა და აყვავებისათვის საფუძვლიან რეზოლიუციას გამოიტანებენ ამ მომავალ საერთო კრებაზე. ჩემის აზრით კი ყველას ის აჯობინებს აღმოსავლეთ—დასავლეთის საქართველოს მასწავლებლები ერთ ერთეულს წარმოადგენდეს და, გაღონიერებამდის, ჟურნალიც, თვიური იქნება თუ კვირეული, ერთი ჰქონდესთ.

მ. ბუაჩიძე

# რუსეთი.

პეტროგრადში დაუტყვევებიათ რუსეთ-საფრანგეთის ბანაკის დირექტორი დიმიტრი რუბანშტეინი, მისი ორი ძმა, ისანიის ვიცე კონსული ვექილი ვოლფზონი, ჟურნალისტი სტემბო, ძმანი იუნკერები, ცნობილ "იუნკერის და ამხ" ბანკის დირექტორები. ამათ ბრალად ედებათ რუსულ ფასიან ქაღალდების ღირებულების ხელოვნურად დაწევა. დაატყვევეს აგრეთვე შაქრის სინდიკატის შემქნელი ცნობილი მექარხნე ბროდსკი, ყოფილი შაქრის ქარხნის პატრონი ბაბუშკინი და ცნობილ რუსეთ-ამერიკულ ფირმის „სამკუთხედის" დირექტორი. ამათ ბრალდებათ ბოროტი სპეკულიაცია.

ამის გამო მოსკოვში და პეტროგრადში დიდი ჩხრეკა ყოფილა.

— —

სამარის გაზეთი „ვოლზსკი დენ" დააკავეს, რადგანაც ნაუმოვის შესახებ წერილი მოათავსა

— —

რუსეთის შიდა გუბერნიებში პურის მოკრების დრო დადგა და მუშა ხელის სიძვირემ დიდად იჩინა თავი.

ამის გამო შიდ, რუსეთის გუბერნიების სხვა და სხვა დაწესებულებებს უთხოვიათ მთავრობისთვის ნება დართონ კვლავ მოიწვიონ ავსტრიელი და გერმანელი ტყვეები სამუშაოდ.

— —

ვიატკის გუბერნიის სამაზრო ქალაქ სარპულში მიიღეს გუბერნატორის მიერ გამოცემული ნიხრი პურის ფასებისა. მთელი მეპურეები გაიფიცნენ და მცხოვრებნი უპუროდ დასტოვეს. ეს რომ გაიგო გუბერნატორმა, მისწერა, ჩემ მიერ დამტკიცებული ნიხრი ქ. სერპულს არ ეხებაო. ამას შემდეგ მეპურეებმა ისევ ძვირად დაიწყეს პურის გაყიდვა

— —

ცვლილებანი სამინისტროში მოულოდნელი ყოფილა ყველასთვის და ვერ გაუგიათ, რას უნდა მიეწეროს ეს ცვლილებანი მაშინ, როდესაც რუსის ჯარი ყველა ასპარეზებით მარჯვეთ მოქმედობს.

— —

ბაქოსა და თურქესტანის შუა კასპიის ზღვაში კაბელი გაჰყავთ, რათა თურქესტანი და კავკასია წყალქვეშ ტელეფონით შეაერთონ.

## ჩემი პასუხი „უმწიკვლოებს".

გაზ. „სახ. ფურცლის" №579 და „ს. მეგობრის" №62 მოთავსებული იყო ხარკოვის სათვისტომოს გამგეობის „წერილი რედაქციის მიმართ", რომელშიაც, ხსენებული გამგეობა აფრთხილებს ქართულ პრესას, რათა მან საშუალება არ მომცა ჩემთვის თავი ვიმართლო საზოგადოების წინაშე რადგანაც ვითომდა „უმწიკვლო და უდანაშაულო ამხანაგებს ჩირქი მოვცხე".

ღრმად ვარ დარწმუნებული რომ პრესას აინტერესებს მხოლოდ სიმართლის გამორკვევა და ამიტომ გთხოვთ ბ ნო რედაქტორო მომცეთ პასუხი გავსცე სრულიად დაუმსახურებელ ბრალდებაზე. (ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო პასუხი დამიგვიანდა *).

სხვებთან ერთად მე მონდობილი მქონდა ხარკოვის სათვისტომოს წევრთა საწევრო ფულის შეკრება. შეგროვილ ფულს ვაბარებდი გამგეობის ხაზინადარს ვლ. კალოიანს. დაკვირვებამ დამანახვა, რომ სტ კალოიანი სათვისტომოს ფულებს აძლევდა სესხად თავის მეგობრებს, (რასაც თვითონ არ უარჰყოფს), მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის იყო, რომ იგივე კალოიანი სათვისტომოს ფულებს თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ხარჯავდა. აღშფოთებულმა ამ უოგლად დასაგმობი საქციელით რამდენჯერმე გავაფრთხილე ბ-ნი კალოიანი, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევდა ჩემს გაფრთხილებას. შემდეგ სარევიზიო კომისიას განვუცხადე კალოიანის თანდასწრებით მისი ასეთი მოქმედება, რაზედაც სარევიზიო კომისიის წევრები შემპირდენ, რომ ყველაფერს დაწვრილებით გაგაცნობთო. მეორე დღეს გავიგე, რომ მათ არავითარი ანგარიში და გარკვევა არ მოუხდენიათ. თვით თავჯდომარემ ამხანაგების თანდასწრებით განაცხადა რომ „ჩვენ ფულებს ახლა როდი ვითვლით და არც ანგარიშებს ვასწორებთო. ამ თავით ანგარიშებს მოვითხოვთ ეკენისთვეში, როდესაც ახალ გამგეობას ავირჩევთო". ამის მოწმენი არიან: ბიძ. ჯაფარიძე, კოტეტიშვილი და მიხ. ჭუმბური ძე. როგორც შემდეგში გამოირკვა რომ სარევიზიო კომისიას მიუღია კალოიანის მიერ სამას მანეთამდე სათვისტომოს არსებობისათვის გაწეული წვრილმანი ხარჯები და შესაფერი საბუთები კი ვერ წარმოუდგენია, ამას დამიმოწმებს სარევიზიო კომისიის წევრი ბ-ნი მარგველაშვილი...

სხვას რომ თავი დავანებოთ, სათვისტომოს საქმეებს წარმოებისათვის სამას მანეთამდე დახარჯვა უკვე იწვევს თავის თავად ძლიერ ეჭვს და რადაც წარმოუდგენელიც არის და ნუ თუ დამნაშავე ვარ, რომ შევეხე ბ-ნ კალოიანის ასეთ მოქმედებას?

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ ჩემი ბრალდებანი ყალბი და მოგონილია, მაგრამ ბატონებო, კალოიანისთვის მაინც ბევრდო უგრი, რადგა ის აღიარებდა თავის შეცდომებს ამხანაგებში, რომ ის „როგორც მომაკვდავი ადამიანი შეცდა" და სხვ. რასაც ბევრი სტუდენტთაგანი ამას დამიმოწმებს სად არის აქ ჩემის მხრით „ცილის წამება და ჩირქის მოცხება" (!!) ნუ თუ სიტყვა „უმწიკვლო" შეიძლება ადამიანმა უწოდოს ისეთს პიროვნებას, რომელიც განათლებულ ექიმის ოჯახში იდგეს, თვითონ თვემდი ადამიანი ენდოს, ასვას აჭამოს, სახარჯო ფულიც მისცეს და და მერე ღამით გაიპაროს?**) თქვენ კარგად იცით, ამხანაგებო, ვინც ბრძანდებიან ეს უმაწვილები!

ან კიდევ განა უმწიკვლოები არიან ის უმაწვილები, რომლებიც ძალას ხმარობენ, დაკეტილ ოთახს ტეხენ, ნივთები გამოაქვთ ქირის მიცემის მაგიერ, სახლის პატრონს სიცილს აყრიან. „განა ამისთანა მოქმედებამ არ აიძულა სახლის პატრონები, ისეთი სამარცხვინო განცხადება გამოკვრათ „ვაქირავებ ოთახებს, მაგრამ ქართველ სტუდენტს კი არ ვაძლევო" აქაც იქნებ მე ვარ დამნაშავე და არა ის „უმწიკვლო" ვიჟბატონები, რომლებიც თავის გამართლების საშუალებასაც კი მისპობენ!

მართალია, მე ვუწოდე გრ. პატარაიას „აფერისტი", მაგრამ საფუძვლიანად, ვინაიდან თავის მართლება, ამ ზემო მოხსენებულ სიტყვას მორს ვერ გაჰქცევა და მოქმედება კი უახლურია, რასაც ნათლად გვიმოწმებს ბ-ნ ნირენბერის მხრით მოცემული: „Студенты X - X и Гр. Патарая жили у меня въ прошломъ году на квартирѣ и не уплатили 24 руб. Въ моемъ отсутствіи явились и самовольно, сорвали замокъ съ дверей и унесли принадлежащія имъ вещи. Поступокъ этотъ влечетъ за собою отсутствіе всякаго желанія сдавать квартиру ихъ землякамъ. Кромѣ выше сказаннаго они позволили себѣ выразиться не корректно, что жидамъ можно и не платить. Х. М. Ниренбергъ. 29 мая 1916 года".

ამის შემდეგ, ბატონებო, ეგებ კიდევ იფიქროთ, რომ მე მათ „ჩირქსა ვცხებ" და არა ის „უმწიკვლოები" სცხებენ ჩირქს მთელი ხარკოვის ქართველ სტუდენტობას. ვალდებული იყავით, რომ ყურადღება მიგექციათ. მაგრამ ვის!!! გამგეობის წევრები თვით ეს ვაჟბატონები ბრძანდებიან და ერთი თავგამოდებული ადამიანები კიდეც რომ გამოერიოს გამგეობის წევრთა რიცხვში, მაინც ვერას გახდება დანარჩენ უმრავლესობასთან ეს ყველასათვის ცხადია და ამაზე მსჯელობა ზედმეტიც არის.

ერთი კიდევ, ბატონებო! კანონიერია თუ არა რომ ბ-ნ პატარიას ჰქონდეს საცხოვრებლად ყოველ თვიური შემოსავლიანი სამი წყარო: 1) ქუთაისის საზ. ბანკიდან, 25 მან, 2) ხარკოვის დამხმარე საზოგადოებიდან 15 მან. და 4) ექიმ გეგელიასაგან და კიდევ სათვისტომოს სადამოს შემოსავლიდან წაიღოს 25 მან, (რასაც თვითონ ვერ უარყოფს) იმ დროს, როდესაც ჩვენი ბევრი ამხანაგი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. პრესაში კი, თქვე დალოცვილებო, გამომდგახართ და იძახით გუბელაძე „უმწიკვლო ამხანაგებს ჩირქსა სცხებსო" და მასთან დასძენთ, რომ "რწმუნებულებმა გაარჩიეს" საქმეო თუ კი მათ რაიმე კანონიერი საბუთები ჰქონიათ ხელში, რატომ თვით ამ რწმუნებულებმა არ გამოაცხადეს პრესაში. თქვენი აპეკუნობა ამ შემთხვევაში ზედმეტია. პ. გელეიშვილის მაგალითს მე ანგარიშს ვერ გაუწევ, თუ ნებავთ მას მიბაძოს ვლ. კალოიანმა და გრ. პატარაიამ

ეჭვი არ არის, რომ ხარკოვის ყველა შეგნებულ ქართველ სტუდენტს უნდა მიექცია ყურადღება ჩემს მიერ აღნიშნულ უმსგავსო მოქმედებისათვის და რახან ასე არ მოხდა, და თვით ქართველმა საზოგადოებამ დაგვდოს თავისი მსჯავრი. მეტი გზა არა მაქვს!

სტ. ვლ. გუბელაძე.

P S. ვაფრთხილებ იმ უმაწვილებს, რომელთა გვარსა და სახელს ჯერ არ ვაცხადებ, რომ თავიანთი შეცდომები გაასწორონ რაც შეიძლება მალე, დამდევ ეკენისთვემდის, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ვინაობას გამოვაქვეყნებ პრესის საშუალებით.

ვლ. გუბელაძე.

*) თავის მართლების უფლება ყველასა აქვს ვბეჭდავთ ამ წერილის სიმართლის აღსადგენად ავტორის პასუხის მგებლობით. რედ.

**) ზევით ხსენებულ ექიმ რაკოვსკის ოჯახში ხუთამდი ქართველი სტუდენტი იდგა და ყველამ ასე ისახელა თავი!... ავტ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც რაიმე დახმარება გაუწიეს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსიას:

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს, თბილისის ქართული გიმნაზიის გამგესა და მის თანაშემწეს, სტ. მიხეილ გულისაშვილს, თელავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს ბ ნიკიფორე მიმინაიშვილს, ბ. დეკანოზს შიუკაშვილს, მღვდელ ელიზბარაშვილს, საუფლისწულო მამულების უფროსს ბ. ტრიფონ ბააკაშვილს, ბ. ჰეინეს, ბ. პეტრე მაჭავარიანს, ბოდბის დედათა მონასტრის იღუმენიას ანასტასიას, ალავერდისა და შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზვნებს, ბ. იუსტინე აბულაძეს, ბ. დავით კარიჭაშვილს ბ. მოსე ჯანაშვილს, გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს ბ თედორე სმირნოვს, მცხეთის დედათა სამთავრისის მონასტრის მონაზონს ქ-ნ ამაშუკელს, მცხეთის ჯვარის ეკლესიის მღვდელ-მონაზონს ილარიონს, ბორჯომში სასახლის უფროსს ბ. ვინოგრადოვ ნიკიფოროვს და სხვათა.

ხელმძღვანელი ქუთ. ქართ. გიმნ. მოწ. ექსკურსიისა შალვა სანიკიძე

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
liedesgaden für die. Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnensstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse. Fond Russepour les prisouniers de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
suisse recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
Agence des prisonniers be guerre
Genéve.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 20 | „ |

მუშაოჯს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სეინსაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერდაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოდ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ყურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)